

სქესობრივი

ბუნთ

ბაღაქმები

იწვექცეები



აღბათ იყი, რომ ფლესფლეობით საქართველოში
საკმაოდ გავრცელებულია სქესობრივი გზით
გადამდები ინფექციები. სწორედ ამიტომ შეიქმნა
ეს საინფორმაციო მასალა, რათა პასუხი გაეცეს იმ
კითხვებს, რომლებიც ვფიქრობთ, შენ უკვე ფიდი
ხანია გაინტერესებს და რომელიც დაგეხმარება
თავად განსაზღვრო შენი მომავალი. ეს ზროშურა
საშუალებას მოგცემს, თავიდან აიცილო: სარისკო
ქრევა, საფრთხე და არყოფნით გამონკეული შიში.

რა თქმა უნდა, ეს ზროშურა ამომსურავ
ინფორმაციას ვერ მოგანვდის და შესაძლებელია
დამატებითი კითხვების დაკმაყოფილების სურვილიც
გაგიჩნდეს.

ამისათვის აკრიფე ტელეფონის ნომერი:

თბილისი - 25 18 19

ზათუმი - 7 42 13

ენცრის "თანადგომა" კონსულტანტები უპასუხობ
არ დატოვენ შენს შეკითხვებს.

გახსოვდეს: ყოველი ზარი ანონიმური და უფასოა.

რბ არის სქმსობრივი გზით გაცემები ინფიცირები ანუ სგბი?

ეს ისეთი ინფექციებია, რომელთა გაცემა უბირატესად ხდება ინფიცირებულ ადამიანთან სქესობრივი კონტაქტის შედეგად.

დღეისათვის ოცდაათამდე სგვი-ა ცნობილი, მათგან ყველაზე ხშირად გვხვდება: სიფილისი, გონორეა, ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, ჰეპატიტი **B**, აივ-ინფექცია/შიდსი, სასქესო ორგანოების ჰერპესი.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ზოგადად შეეხება სქესობრივი გზით გაცემებ ინფექციებს

1. ზოგ შემთხვევაში სგვი მიმდინარეობს ფარულად, დაავადების დამახასიათებელი ნიშნების (სიმპტომების) გარეშე არ იწვევს ჩივილებს, ამიტომ ადამიანი ვერ ხვდება, რომ ის დაავადებულია.
2. სგვი-თ ინფიცირებისას აუცილებელია სამედიცინო ჩარევა (მკურნალობა). ორგანიზმს არ შესწევს უნარი თვითონვე მოერიოს დაავადებას.
3. თუ სგვი დროულად არ იქნა ნამკურნალები, მას შეუძლია სერიოზული გართულებები გამოიწვიოს!
4. რაც უფრო ადრე მიმართავ ექიმს, მით მეტია შანსი: განიკურნო სწრაფად! არ განგივითარდეს გართულებები! არ გადასდო დაავადება შენს პარტნიორს!
5. სგვი განსაკუთრებით საშიშია ორსულობისას, იგი შეიძლება გადაეცეს ახალშობილს! გაუფრთხილდი საკუთარ ოჯახს!

6. აივ ინფექცია/შიდსი, სიფილისი, ჰეპატიტი **B** გადაცემა არა მარტო სქესობრივი გზით, არამედ დაავადებული ადამიანის სისხლთან კონტაქტითაც.

გახსოვდეს! სვეი-ს გადაცემა შესაძლებელია ნებისმიერი სახის სქესობრივი კონტაქტის დროს, იქნება ეს ვაგინალური, ანალური თუ ორალური კონტაქტი!

რა გამოვლინებები (სიმპტომები) ახასიათებს სბმ-ს?

- წვა და ქავილი სასქესო ორგანოების მიდამოში;
- უჩვეულო გამონადენი სასქესო ორგანოებიდან;
- შეწითლება, გამონაყარი, წყლულების ან მეჭვქების გაჩენა სასქესო ორგანოების მიდამოში;
- გახშირებული და მტკივნეული შარდვა.



გახსოვდეს! დამახასიათებელი სიმპტომების არარსებობის მიუხედავად ადამიანის ორგანიზმში მიმდინარეობს გართულებები და მას შეუძლია სხვა დაინფიციროს!

რა ბართულევაში ახასიათებს სვბი-ს?

- ქრონიკული (გახანგრძლივებული) მიმდინარეობა;
- იმპოტენცია;
- უშვილობა;
- შინაგანი ორგანოების (ღვიძლი, თირკმელი, თავის ტვინი და სხვა) დაზიანება;
- თვითნებური აბორტი (მუცლის მოშლა);
- საშვილოსნოს გარე ორსულობა.

როგორ უნდა გაიგო, დაინფიცირებული ხარ თუ არა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ექიმის კონსულტაცია და სპეციალური ანალიზების ჩატარება. მეგობრის რჩევა ამ შემთხვევაში არ გამოგადგებათ!

**არავითარ შემთხვევაში არ მიმართო
თვითმკურნალობას!**

გონორეა (ტრიპერი)



ამ დაავადებას იწვევს ბაქტერია – გონოკოკი. გონორეით დაინფიცირების ძირითადი გზა არის დაუცველი (კონდომის ანუ პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტი. გონორეამ შესაძლებელია დააზიანოს არა მარტო შარდსასქესო სისტემა, არამედ სწორი ნაწლავი, ყელის და საყლაპავის ლორწოვანი გარსი, თვალის გარსები. ეს დამოუიდებელია სქესობრივი კონტაქტის ტიპზე (ვაგინალური, ორალური, ანალური).

გონორეისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები:

- მომწვანო-მოყვითალო ფერის ჩირქოვანი გამონადენი სასქესო ორგანოდან (განსაკუთრებით მამაკაცებში);
- ქვეილი სასქესო ორგანოების მიდამოში;
- მტკივნეული და გახშირებული შარდვა;
- არასასიამოვნო სუნის მქონე გამონადენი.

კლინიკური ნიშნები ჩნდება დაინფიცირებიდან დაახლოებით 3–7 დღის განმავლობაში.

10–14 დღის შემდეგ სიმპტომები მკურნალობის გარეშეც შეიძლება გაქრეს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ დაავადება ქრონიკულ (გახანგრძლივებულ) სტადიაში გადავიდეს, რამაც შესაძლოა სერიოზული გართულებები გამოიწვიოს, მათ შორის უშვილობა როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში.

განსოვდეს:

- გონორეა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა;
- გონორეის დიაგნოსტიკება ხდება სპეციალური ანალიზის საშუალებით;
- დროული მკურნალობა ეფექტურია და საშუალებას მოგცემს, თავიდან აიცილო მძიმე გართულებები;
- თვითმკურნალობამ შეიძლება შეამციროს დაავადების ნიშნების ინტენსივობა ან სრულიად გააქროს ისინი, მაგრამ გამოჯანმრთელება არ ხდება და გართულებების რისკი მაღალია;
- მკურნალობის შერჩევა და მისი შედეგის შეფასება უნდა ხდებოდეს ექიმის მიერ.

ბონორეის პროფილაქტიკა არის კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენება ყოველი სქესობრივი აქტის დროს.

სიფილისი (ათაზანგი)

სიფილისს იწვევს ბაქტერია - მერთალი ტრეპონემა. სიფილისის გამომწვევი შესაძლოა მოხვდეს ორგანიზმში სასქესო ორგანოებიდან, უკანა ტანიდან, პირის ღრუდან და ა.შ. იმის მიხედვით, თუ რა სახის სქესობრივ კონტაქტს (ვაგინალური, ანალური, ორალური) ჰქონდა ადგილი.



სიფილისის მიმდინარეობაში გამოყოფენ 3 სტადიას:

- I სტადია - ორგანიზმში სიფილისის შეჭრის ადგილას, 1-4 კვირის შემდეგ ჩნდება მრგვალი ფორმის, უმტკივნეულო, პატარა წყლული, ე.წ. მაგარი შანერი, რომელიც რამოდენიმე კვირის შემდეგ ქრება;
- II სტადია - გამონაყარი კანზე, განსაკუთრებით ხელის და ფეხის გულებზე;
- III სტადია - ვითარდება რამოდენიმე წლის შემდეგ და იწვევს გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის და სხვა შინაგანი ორგანოების სერიოზულ დაზიანებას.

გახსოვდეს:

- სიფილისი გადაეცემა არა მარტო სქესობრივი გზით, არამედ სისხლთან კონტაქტისა და დაავადებულთან მჭიდრო საყოფაცხოვრებო ურთიერთობისას (საერთო ტუალეტი, პირსახოცი, საერთო საწოლი და ა.შ.) გარდა ამისა, სიფილისი შეიძლება გადაეცეს დაავადებული დედიდან ახალშობილს;
- სიფილისის დიაგნოსტიკა ხდება სისხლის სპეციალური ანალიზის საშუალებით;
- სიფილისის მკურნალობა უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრე;
- მორთული მკურნალობა ეფექტურია და საშუალებას მოცემს თავიდან აიცილო მძიმე გართულებები;
- არანამკურნალები სიფილისი საბოლოოდ აუცილებლად გამოიწვევს სიცოცხლისათვის საშიშ გართულებებს!

**სიფილისის პროფილაქტიკა არის კონდომის
(პრეპარატივის) გამოყენება ყოველი
სქესობრივი აქტის დროს.**

ქლამიდოზი



ქლამიდოზს იწვევს მიკროორგანიზმი ქლამიდია. ქლამიდოზით დაინფიცირების ძირითადი გზა დაუცველი (კონდომის ანუ პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტია. გამომწვევი აზიანებს არა მარტო სასქესო ორგანოებს, არამედ თვალებს, მუცლის დრუს ორგანოებს, სახსრებს და ა.შ. ქლამიდოზის დროს სასქესო ორგანოებიდან შეიძლება მცირე რაოდენობით გამჭვირვალე წებოვანი გამონადენი, კაცებში ვლინდება შარდის გაძნელება, თუმცა უფრო ხშირად დაავადება მიმდინარეობს ფარულად - დამახასიათებელი ნიშნების (სიმპტომების) გარეშე.

გახსოვდეს:

- უმრავლეს შემთხვევაში ქლამიდოზი მიმდინარეობს სიმპტომების გარეშე!
- ქლამიდოზი უშვილობის ერთ-ერთი მიზეზია როგორც კაცებში, ასევე ქალებში;
- ქლამიდოზი შესაძლოა დაავადებული დედიდან გადაეცეს ახალშობილს;
- ქლამიდოზის დიაგნოსტიკა ხდება სპეციალური ანალიზის საშუალებით;
- ქლამიდოზის მკურნალობის ადრეულ ეტაპზე დაწყება ზრდის მკურნალობის ეფექტურობას და ამცირებს გართულების რისკს.

**ქლამიდოზის პროფილაქტიკა არის
კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენება
ყოველი სქესობრივი აქტის დროს.**

ტრიქომონიაზი



ტრიქომონიაზს იწვევს ერთუჯრედიანი პარაზიტი - ტრიქომონა. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „პატარა ცხოველი“, რომელსაც შეუძლია „გადაყლაპოს“ სხვა სუბი-ს გამოძწვევი (მაგ. გონორეა, ქლამიდია და ა.შ.). აქედან გამომდინარე, ტრიქომონიაზის დროს ყოველთვის მოსალოდნელია „სიურპრიზები“ სხვა სქესობრივი გზით

გაღამდები დაავადებების გამოვლენის სახით.

ტრიქომონიაზის გადაცემის ძირითადი გზა დაუცველი (კონდომის ანუ პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტია. ტრიქომონიაზით დაინფიცირება შესაძლებელია პირადი ჰიგიენის საშუალებების (პირსახოცი, ღრუბელი და სხვა) ერთობლივი მოხმარებითაც.

ტრიქომონიაზისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები:

- ძლიერი ქავილი და გაღიზიანება სასქესო ორგანოების არეში;
- ქაფიანი, არასასიამოვნო სუნის მქონე მომწვანო-მოყვითალო ფერის გამონადენი.

გახსოვდეს:

- ტრიქომონიაზი ძირითადად სასქესო ორგანოებს აზიანებს;
- მამაკაცებში უპირატესად ზიანდება პროსტატა (წინამდებარე ჯირკვალი) და შარდსადენი;
- მამაკაცებში ტრიქომონიაზი ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს;
- მეურნალობა ტარდება სპეციალური ანტიპარაზიტული პრეპარატებით, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;
- მეურნალობის არარსებობის ან არასაკმარისი

მკურნალობის შემთხვევაში დაავადება გადადის ქრონიკულ სტადიაში პერიოდული გამწვავებებით;

- ტრიქომონიაზი, ისევე როგორც ქლამიდიოზი სშირად უშვილობის მიზეზი ხდება.

ტრიქომონიაზის პროფილაქტიკა არის კომპლექსური (პრეპარატივის) გამოყენება ყოველი სქესობრივი აქტის დროს.

სასქესო ორგანოების ჰერპესი

სასქესო ორგანოების ჰერპესს იწვევს მარტივი ჰერპესის ვირუსი. ჰერპესით დაინფიცირება ხდება დაავადების მწვავე სტადიაში კონტაქტური გზით, მათ შორის ყველა სახის დაუცველი (კონდომის ანუ პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტით.



დაავადება იწვევს კანისა და ლორწოვანი გარსების დაზიანებას, რაც გამოიხატება:


- შეწითლებით;
- მცირეუშტუკოვანი გამონაყარით;
- დაწყლულებით.

გამოხატულია ძლიერი წვა და ტკივილი, განსაკუთრებით შარდვისას, დაბანისას, სიარულისას. გამონაყარი და წყლულები ქრება 1-2 კვირის განმავლობაში, თუმცა ვირუსი ორგანიზმიდან არ ქრება და პერიოდულად კვლავ იჩენს თავს.

გახსოვდეს:

- ჰერპესის გამწვავების სტადიაში სქესობრივი კონტაქტი მტკივნეულია და არასასიამოვნო შენთვის და სარისკო შენი პარტნიორისთვის;
- მკურნალობა სპეციალური ანტივირუსული პრეპარატებით ამცირებს მტკივნეულ შეგრძნებებს, გამწვავებების ხანგრძლივობასა და სისშირეს;
- მკურნალობის შერჩევა და მისი შედეგის შეფასება უნდა ხდებოდეს ექიმის მიერ.

სასქესო ორგანოების ჰერპესის პროფილაქტიკა - დაავადების გამწვავების სტადიაში სქესობრივი ურთიერთობისაგან თავშეაკავება და კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენება ყოველი სქესობრივი აქტის დროს.



ჰეპატიტი

ჰეპატიტი B ღვიძლის ანთებითი დაავადებაა, რომელსაც იწვევს ჰეპატიტი B-ს ვირუსი. დაავადება გადაეცემა ინფიცირებულ სისხლთან კონტაქტით (კერძოდ არასტერილური და საზიარო

ნემსების, შპრიცების და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას), დაუცველი კონდომის ანუ პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტით, აგრეთვე ინფიცირებულნი დედიდან შვილზე ორსულობისა და მშობიარობის დროს.

ჰეპატიტი B შეიძლება ხასიათდებოდეს:

- როგორც მწვავე, ისე ქრონიკული (გახანგრძლივებული) მიმდინარეობით;
- სიყვილით;
- საერთო სისუსტით;
- გულისრევით, პერიოდული პირღებინებით;
- სხეულის ტემპერატურის მომატებით და სხვა.

ქრონიკული ჰეპატიტი B შეიძლება მძიმედ მიმდინარეობდეს და მიიყვანოს ადამიანი ისეთ დაავადებამდე, როგორცაა ღვიძლის ციროზი (ღვიძლის უჯრედების გადაგვარება) და ღვიძლის სიმსივნე (კიბო).

გახსოვდეს:

- ჰეპატიტის თავიდან აცილება (პროფილაქტიკა) უფრო ადვილია, ვიდრე განკურნება;
- საინექციო ნარკოტიკების მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის ჰეპატიტით დაავადების რისკს როგორც შენთვის, ისე შენი სქესობრივი პარტნიორისთვის;
- ჰეპატიტის დიაგნოსტიკა ხდება სისხლის სპეციალური ანალიზების საშუალებით;
- ჰეპატიტის მკურნალობისთვის და რჩევებისთვის უნდა მიმართო ექიმს;
- ჰეპატიტი შესაძლოა დაავადებული დედიდან გადაეცეს ახალშობილს;
- მანვე ჩვევებზე (ალკოჰოლი, ნარკოტიკები) უარის თქმა, ცხოვრების ჯანსაღი წესი ხელს უწყობს დაავადების კეთილთვისებიან მიმდინარეობას და მძიმე გართულებების თავიდან აცილებას.

ჰეპატიტი B-ს პროფილაქტიკა:

- **სანიმუში ნაკრებიკაზის (არასტარილური და საზიარო ნემსაის და შარიცაის) გამოყანებაზე შარის ტქმა;**
- **კონდომის (პრეპარატივის) გამოყანება ყოველი სქანობრივი აქტის დროს;**
- **ჰეპატიტ B-ზე ვაქსინაცია (ასრა) მაღალი რისკის ჯგუზის ადამიანებისთვის, კათი სქანობრივი პარტნიორებისთვის და ინფიცირებული დედაის საბაზობილბისთვის.**

აივ/შიდსი



აივ ინფექცია არის ვირუსული დაავადება, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). შიდსი არის ამ დაავადების საბოლოო სტადია, რომელსაც მოსდევს ადამიანის სიკვდილი.

აივ ინფექცია აზიანებს ადამიანის იმუნურ (დამცავ) სისტემას და უძლურს ხდის ორგანიზმს სხვა დაავადებების (ინფექციების და სიმსივნეების) მიმართ.

აივ ინფექცია გადაეცემა ინფიცირებულ სისხლთან კონტაქტით (კერძოდ არასტერილური და საზიარო ნემსების, შპრიცების და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას), დაუცველი ცონდომის ანუ პრეზერვატივის

გარეშე) სქესობრივი კონტაქტით, აგრეთვე ინფიცირებული დელიდან შეიძლება ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს.

აივ ინფექციის მიმდინარეობაში გამოყოფენ 4 სტადიას:

- **ფანჯრის სტადია:**

ეს არის პერიოდი ინფიცირების მომენტიდან 8-10 კვირის (2-3 თვის) განმავლობაში, როდესაც სისხლის ანალიზი ვერ გამოავლენს, არის თუ არა ადამიანი აივ-ით ინფიცირებული.

- **მცირე სიმპტომების სტადია:**

ეს პერიოდი, რომელიც პირობითად არის გამოყოფილი ფანჯრის პერიოდის შემდეგ, შესაძლებელია რამოდენიმე წელი გაგრძელდეს (საშუალოდ 3-5 წელი). ამ პერიოდში ადამიანი ვირუსის მატარებელია, შეუძლია ინფექციის სხვა ადამიანებისათვის გადაცემა, მაგრამ შეიძლება არ ჰქონდეს ჩივილები და დაავადების ნიშნები. ადამიანი გარეგნულად ჯანმრთელად გამოიყურება. იგი ჩვეულ რითმში აგრძელებს ცხოვრებას. შეიძლება ადგილი ჰქონდეს წონაში კლებას, ზოგად სისუსტეს, ღამის ოფლიანობას, ღამიერი კვანძების გადიდებას ორ ან მეტ ადგილზე (საზარდული, იღლია) ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

- **გამოსატული სიმპტომების სტადია:**

გამოსატული სიმპტომების პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ 4-5 წელია. ამ სტადიაზე ადამიანის იმუნური სისტემის (ორგანიზმის დამცავი სისტემის) მნიშვნელოვანი დაზიანების შედეგად თავს იჩენენ ისეთი ინფექციები და სიმსივნეები, (ე. წ. ოპორტუნისტული დაავადებები), რომელნიც ჯანმრთელი იმუნური სისტემის პირობებში

არ ვითარდებიან. ეს დაავადებები ძალიან ძნელად ექვემდებარებიან მკურნალობას და თავის მხრივ შეიძლება აღამიანის სიკვდილის მიზეზი გახდნენ.

● **შიდსი:**

ამ სტადიაზე იმუნური სისტემა (ორგანიზმის დამცავი სისტემა) უკვე მძიმედაა დაზიანებული. ვითარდება ფილტვების, თავის ტვინის, საჭმლის მომწელებელი სისტემის და სხვა ორგანოების ინფექციური დაავადებები და სიმსივნეები, რომელნიც აღარ ექვემდებარებიან მკურნალობას. შიდსი არის აივ ინფექციის ტერმინალური (საბოლოო) სტადია, რომელიც სრულდება ლეტალური გამოსავლით (სიკვდილით).

გახსოვდეს:

- აივ ინფექციის პროფილაქტიკა უფრო ეფექტურია, ვიდრე მკურნალობა;
- საინექციო ნარკოტიკების მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის აივ/შიდსით დაავადების რისკს როგორც შენთვის, ისე შენი სქესობრივი პარტნიორისთვის;
- აივ ინფექციის დიაგნოსტიკა ხდება სისხლის სპეციალური ანალიზების საშუალებით;
- მიუხედავად იმისა, რომ აივ ინფექციისგან სრული განკურნება შეუძლებელია, სპეციალური ანტივირუსული მკურნალობა მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს სიცოცხლეს;
- აივ ინფექციის მკურნალობისთვის და რჩევებისთვის უნდა მიმართო ექიმს;
- აივ ინფექცია შესაძლოა დაავადებული დედიდან გადაეცეს ახალშობილს;
- არ უნდა გეშინოდეს, უნდა იცოდე.

ნივ ინფექციის პროფილაქტიკა:

- **საინფექციო ნაჩოქიკაზის (არასტერილური და საზიარო ნემსების და შარიცების) გაყოყნებაზა შარის ტძა;**
- **კონდომის (პრეზერვატივის) გაყოყნება ყველა ყველა სხის სქესობრივი კავშირის დროს (ვაგინალური, ორალური, ანალური);**
- **ნივ-ზე სისხლის ანალიზის გაკეთება მაღალი რისკის ქსევის ჯგუფებში შემავეალი ადამიანებისთვის და ორსული ქალებისთვის.**

ნიმსათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სქესობრივი ვიტი გადამდები ინფექციები (სბვი) და შემავეარსოთ მათი გავერცალება, აუსილებალია:

- კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენება ყველა სხის სქესობრივი კავშირის დროს (ვაგინალური, ორალური, ანალური);
- პარტნიორის ან პარტნიორების გაფრთხილება რაიმე უჩვეულო ან საეჭვო სიმპტომების გაჩენის შემთხვევაში;
- სგი-ს დადგენის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს პარტნიორების ერთდროული მკურნალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მკურნალობა ეფექტური არ იქნება;
- მკურნალობის მაქსიმალური ეფექტის მიღწევის საუკეთესო გზა მის დასრულებამდე სქესობრივი ცხოვრებისგან თავის შეკავება. თუ ეს არ მოხერხდა,

აუცილებელია ყოველი სექსობრივი კონტაქტის დროს კონდომის (პრეზერვატივის) გამოყენება, რათა თავიდან იყოს აცილებული პარტნიორის ინფიცირება და პარტნიორისგან განმეორებითი დაინფიცირება.

სქესობრივი ჯანმრთელობის ყველაზე მყარ გარანტიას პარტნიორების ერთგულება წარმოადგენს.

არ დაიჯეროთ რომ:

- ▶ სექსობრივი კავშირის შემდეგ ლუდის დალევა ან ბანაობა იცავს სგვი-სა და აივ/შიდსისგან;
- ▶ ძვირადღირებული მეძავი „სუფთაა“ და არ შეიძლება იყოს დაავადებული სგვი-თა და აივ/შიდსით;
- ▶ ქმარ/შვილიანი ქალები, ახალგაზრდა გოგონები ან ბიჭები აუცილებლად დაზღვეულნი არიან სგვი-საგან და მათთან სექსობრივი კავშირი უსაფრთხოა;
- ▶ თუ არ ხართ მეძავი, ნარკომანი ან ჰომოსექსუალი, არ დაავადდებით სგვი-თ.

რაკი ამ გვერდამდე მოხვედი, იმედია ზოლომდე
გაეყვანი ჩვენს მიერ მონოღებულ ინფორმაციას.
გაგიჩნდა რაიმე დამატებითი შეკითხვები?
არ მოგერიდოს, აკრიფე ტელეფონის ნომერი
თბილისი - 25 18 19

ზათუმი - 7 42 13

და გაპასუხებენ: **"თანადგომა ვისმენთ"**

საუკეთესო სურვილებით
ქენტრი "თანადგომა"

კონსულტაციებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური
ცენტრი "თანადგომა"

თბილისი
ტელ.: 25 18 19

ბათუმი
ტელ.: 7 42 13

ვებ-გვერდი: www.tanadgoma.ge

კონსულტაციები უფასო და ანონიმურია



Cordaid 

The Cordaid logo consists of the word "Cordaid" in a bold, blue, sans-serif font. To the right of the text is a graphic element consisting of a blue curved line that ends in a green and red shape, resembling a stylized heart or a person's profile.